საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**განკარგულება**

განკარგულება:**გ-69. 69231846**
თარიღი:**03/07/2023**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში მდებარე მიწის (უძრავი ქონების) (ს/კ N36.17.33.799) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 568 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი1**. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 08 ივნისის **N 15 / 31157** მომართვის თანახმად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) ( ს/კ N36.17.33.799) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 568 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში სს „საქართველოს რკინიგზის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

**მუხლი 2.** დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი